ალპიკოლი/Alpikol

სიროფი იმუნიტეტისთვის

გამოყენების ინსტრუქცია

ბიოლოგიურად აქტიური დანამატი კვების რაციონზე - ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების დამატებითი წყაროა.

ხელს უწყობს იმუნიტეტის გაზრდას სეზონური გაცივების დროს, მათ შორის ბავშვებში, რომლებიც ხშირად ავადმყოფობენ. მას აქვს ზოგადი გამაჯანსაღებელი თვისებები. ალპიკოლი განსაკუთრებით რეკომენდებულია შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ორგანიზმის ბუნებრივი რეზისტენტობის შესანარჩუნებლად.

შავი დიდგულას ნაყოფის ექსტრაქტი (*Sambucus nigra*), რომელიც სტანდარტიზებულია 10%-მდე პოლიფენოლური ნაერთებით, ხელს უწყობს იმუნიტეტის გაზრდას სეზონური გაცივების დროს, აუმჯობესებს სასუნთქი სისტემის ფუნქციონირებას. მას აქვს ანტიოქსიდანტური თვისებები, რომლებიც ვლინდება თავისუფალი რადიკალების ნეიტრალიზაციის უნარით, რაც ჟანგვითი სტრესისაგან იცავს უჯრედებს.

აფრიკული პელარგონიის ფესვის ექსტრაქტი (*Pelargonium sidoides*) ხელს უწყობს ზედა სასუნთქი გზების ნორმალურ ფუნქციონირებას. მას აქვს ანტიმიკრობული და ანტივირუსული ეფექტები, ასტიმულირებს ორგანიზმის არასპეციფიკურ დაცვით მექანიზმებს.

ბეტა-გლუკანი - არის საფუარა სოკო *Saccharomyces cerevisiae-ს* ბუნებრივი უჯრედული ექსტრაქტი. Yestimun® ბეტა-გლუკანის მიღების სპეციალური მეთოდით მიიღება პროდუქტი, რომელიც 1,3/1,6 D ბეტა-გლუკანის 85%-მდე არის სტანდარტიზებული.

თუთია - მიკროელემენტი, რომელიც აუცილებელია მრავალი უჯრედული ფუნქციისათვის, მათ შორის იმუნურიტეტისთვის. ის მოქმედებს როგორც უჯრედში სასიგნალო მოლეკულა იმუნური უჯრედებისათვის და ხელს უწყობს იმუნური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას, ცილებისა და დნმ-ის სინთეზს. თუთიის გამოყენება ხელს შეუწყობს გაციების ხანგრძლივობისა და სიმძიმის შემცირებას.

შემადგენლობა: დიდგულას ნაყოფის ექსტრაქტი (*Sambucus nigra*), რომელიც სტანდარტიზებულია 10%-მდე პოლიფენოლური ნაერთებით; Yestimun® საფუარა სოკოსგან (*Saccharomyces cerevisiae*) ბეტა-გლუკანი - საფუარა სოკო *Saccharomyces cerevisiae-ს* ექსტრაქტი, რომელიც 1,3/1,6 D ბეტა-გლუკანის 85%-მდე არის სტანდარტიზებული; აფრიკული პელარგონიის ფესვის ექსტრაქტი (*Pelargonium sidoides*); ჟოლოს ფხვნილი (0.13%); ჟოლოს ნატურალური არომატიზატორი; შაქრის ინვერტული სიროფი; მჟავიანობის რეგულატორი: ლიმონმჟავა.

შემცველობა ერთჯერად დოზაში	**10 მლ**	**15 მლ**
შავი დიდგულას ნაყოფის ექსტრაქტი პოლიფენოლების ჩათვლით	400 მგ 40 მგ	600 მგ 60 მგ
Yestimun® ბეტა-გლუკანი	50 მგ	75 მგ
აფრიკული პელარგონიის ფესვის ექსტრაქტი	30 მგ	45 მგ
თუთია	2 მგ	3 მგ

გამოყენება:

3-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვები: 5 მლ 2-ჯერ დღეში.

12 წელზე მეტი ასაკის ბავშვები და მოზრდილები: 15 მლ ერთხელ დღე-ღამეში.

იზომება შეფუთვაში არსებული საზომი ჭიქის მეშვეობით.

გამოყენების წინ ფლაკონი კარგად უნდა შეანჯღრიოთ.

გაფრთხილება: არ გადააჭარბოთ რეკომენდებულ სადღეღამისო დოზას. არ გამოიყენება კვების სრულფასოვანი რაციონის ჩასანაცვლებლად. შეიცავს ნატურალურ ინგრედიენტებს, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ნალექის წარმოქმნა, ეს არ იმოქმედებს პროდუქტის ხარისხზე.

გამოყენებამდე ყოველთვის გაიარეთ კონსულტაცია ექიმთან.

უკუჩვენებები:

3 წლამდე ასაკის ბავშვები, ორსულობა და ძუძუთი კვება, პროდუქტის კომპონენტების ინდივიდუალური აუტანლობა.

შენიშვნა:

არ არის სამკურნალო საშუალება.

ვარგისობის ვადა: 2 წელი.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არა უმეტეს 25 °C ტემპერატურაზე. ბავშვებისათვის დაცულ ადგილას. ფლაკონის გახნის შემდეგ ინახება მაცივარში არა უმეტეს 2 კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში.

გამოშვების ფორმა:

120 მლ სიროფი ფლაკონში.

მწარმოებელი: დრ. გუსტავ კლაინი გმბჰ&კო კგ, გერმანია

წარმოებულია ალპენ ფარმა აგ-სთვის, ბერნი, შვეიცარია